



დამტკიცებულია
ბათუმის სამედიცინო აკადემიის
დირექტორის 2020 წლის 17 ივნისის
N 01-28 ბრძანებით



ქ.ბათუმი

2020

ელექტრონული სწავლების წესი

გზამკვლევი

1. ზოგადი დებულებები გვ.
2. ელექტრონული სწავლების დაგეგმვა..... გვ.
3. აკადემიური პერსონალი ელექტრონული სწავლების პროცესში..... გვ.
4. სტუდენტი ელექტრონული სწავლებისას..... გვ.
5. ხარისხის უზრუნველყოფა ელექტრონული სწავლებისას..... გვ.
6. ელექტრონული სწავლების მონიტორინგი..... გვ.
7. ინტერნეტ ეტიკეტი და პერსონალური ინფორმაციის დაცვა..... გვ.
8. დასკვნითი დებულებები..... გვ.

დისტანციური სწავლება

ინტერნეტის გამოყენებით, მსმენელს აქვს შესაძლებლობა მიიღოს სპეციალური განათლება პირდაპირ სამუშაო ადგილზე ან სახლში.



დისტანციური სწავლება



დისტანციური სწავლება (E-learning) სწავლების ფორმაა, რომელიც შექმნილია სპეციალურად სტუდენტისთვის ან სტუდენტთა ჯგუფისთვის, რომლებიც ტრადიციულ აუდიტორიაში ან კაბინეტში ფიზიკურად არ იმყოფებიან.

ეს არის "პროცესი, რომელიც ქმნის და ხელმისაწვდომს ხდის სწავლას, როდესაც ინფორმაციის წყარო და მიმღები ერთმანეთისგან დროით, სივრცით ან ორივე შემთხვევაში დაშორებულნი არიან."

მუხლი 1. ზოგადი დებულებები



1. აღნიშნული წესი ადგენს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში (შემდგომში „კოლეჯი“) ელექტრონული სწავლების მეთოდებს, ფორმებს და მისი ეფექტიანობისათვის საჭირო შეფასების კრიტერიუმებს.
2. ელექტრონული სწავლება (დისტანციური სწავლება) პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს გამოიყენონ პერსონალიზებული და მოქნილი (დროისა და ადგილის მიხედვით) მეთოდები, ამასთანავე უზრუნველყონ სწავლის შედეგების მიღწევა ონლაინ ინფორმაციის წყაროების, ასევე ვიდეო და აუდიო არხების გამოყენების გზით.
3. ელექტრონული სწავლების კომპონენტები გამოიყენება ფორსმაჟორული ვითარების დროს, სტუდენტთა ავადობის ან დროებითი/ხანგრძლივი შეზღუდული შესაძლებლობების დროს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა დროებითი შრომისუუნარობის დროს, რაც გამორიცხავს აკადემიის ტერიტორიაზე პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ერთდროულად ყოფნას.
4. კონკრეტულ პროფესიულ სტუდენტ(ებ)თან მიმართებით ან ზოგადად სწავლების ელექტრონულ სისტემის გამოყენების შესახებ, ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ბრძანებით. ბრძანებით შეიძლება განისაზღვროს შეფასების ინსტრუმენტების, შედეგების ჩატარების ფორმა, სასწავლო წლის განსხვავებული ვადები და პირობები
5. სწავლების ელექტრონული სისტემა უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგებზე გასვლა.
6. ელექტრონული სწავლების დაწყების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ხდება წინასწარ 15 წუთით ადრე.

მუხლი 2. ელექტრონული სწავლების დაგეგმვა



1. ელექტრონული სწავლების ძირითადი საშუალებაა ონლაინ კურსები - დისტანციური განათლების ფორმა, სადაც მიწოდების ძირითადი მექანიზმია ინტერნეტი. მათი ჩატარება სინქრონულად და დამატებითი პროგრამული მასალის მიწოდება ასინქრონული გზით არის შესაძლებელი.

- ✓ სინქრონული ონლაინ ლექციები ის ლექციებია, სადაც პროფესიული სტუდენტები და აკადემიის პერსონალი ერთსა და იმავე დროს მონაწილეობენ მეცადინეობაში, მაგრამ დისტანციურად, არა სასწავლო დაწესებულებაში.
- ✓ ასინქრონული ონლაინ კურსები - კურსები, სადაც პროფესიულ სტუდენტებს არ ევალებათ მეცადინეობებში მონაწილეობა პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად. ეს შეიძლება იყოს ბეჭდვით მასალაზე დაფუძნებული სამუშაო პროცესი ან ონლაინ შეხვედრა-საუბრები ელექტრონული სწავლების მართვის სისტემის გამოყენებით.

2. ელექტრონული სწავლება შესაძლებელია შერეული/ჰიბრიდული ლექციების მეშვეობით. ეს არის ლექციები რომლებიც მიზნად ისახავს როგორც ინტერნეტით სწავლების, ასევე პირისპირ სწავლების კომბინაციის გამოყენებას.

3. ელექტრონული სწავლების ძირითადი მექანიზმია საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება - მასალები, რომლებსაც უფასოდ სთავაზობენ პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს.

4. დისტანციური სწავლების პროცესში კოლეჯი იყენებს შემდეგ პლატფორმას და ელექტრონულ საშუალებას: (ზუმი, თიმსი) <https://zoom.us/>, Teams_windows_x64_s_8D7E94E59F54604-7-0_) სწავლის ელექტრონული სისტემა და სხვა.

5. აკადემიის ადმინისტრაცია ვალდებულია პროფესიულ სტუდენტებს დაეხმაროს ყველა იმ აპლიკაციის მიწოდებასა და შესაბამისი პროცედურებით თავიანთ ელექტრონულ მოწყობილობებში ასახვაში, რომელსაც აკადემია იყენებს ელექტრონული სწავლების პროცესში. ამ მიზნით, აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური სხვა სტრუქტურების ჩართულობით ამზადებს ელექტრონული საშუალებების გამოყენების/დამონტაჟების

ვიდეო/აუდიო/ალბომურ ინსტრუქციებს და განათავსებს პროფესიულ სტუდენტთა ხელმისაწვდომ პლატფორმებზე. ელექტრონული სწავლების პროცესში, აკადემია ვალდებულია უზრუნველყოს საბიბლიოთეკო რესურსებზე სტუდენტთა შეუფერხებელი წვდომა დისტანციურად.

6. აკადემიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სწავლების პროცესის დაგეგმვაში და განხორციელებაში ჩართული პერსონალის გადამზადებას და დაეხმარება ყველა ტექნიკური საშუალებით აღჭურვაში, რაც საჭიროა მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი ელექტრონული სწავლების ეფექტიანად განხორციელებისათვის.

7. ელექტრონული სწავლების ფორმები, რაც ხორციელდება სასწავლო პროცესში, უნდა აისახოს მოდულებში. ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლა ხდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე ამ წესის მოთხოვნებისა, კონკრეტული ვადებისა და ფორმების შესაბამისად.

მუხლი 3. აკადემიის პერსონალი ელექტრონული სწავლების პროცესში



1. აკადემიის პერსონალი სალექციო მასალის მიწოდებას ახორციელებს ასინქრონული მეთოდით, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობებს, სადაც შესაძლებელია დისტანციურად სწავლის შედეგის უზრუნველყოფა - სინქრონული მეთოდით. მოდულის

სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული განათლების მასწავლებელი ლექციას, პრაქტიკულ მეცადინეობებს და გამოკითხვას, სხვა ფორმების გამოყენებით, ჩაატარებს სინქრონულად. ასინქრონულად შესაძლებელია, პროგრამიდან გამომდინარე დამატებითი სამუშაოების განხორციელება აკადემიის შესაბამისი სამსახურის თანხმობით.

2. აკადემიის პერსონალს შეუძლია განსაზღვროს, ვიდეოს ჩაწერის-ჩართვის განახორციელება აკადემიის შენობიდან თუ სხვა ლოკაციიდან, რომელიც უზრუნველყოფილია უწყვეტი ინტერნეტით, დაცულია სიწყნარე და შეესაბამება სასწავლო პროცესისთვის დადგენილ სტანდარტებს.

3. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აწარმოოს, ცხრილით დაგეგმილი დროის შესაბამისად დისტანციურად ჩატარებული საკონტაქტო საათების ჩაწერა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რაც იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.

- ხდება ვიდეო ჩანაწერების შენახვა შეფასების მტკიცებულებებთან ერთად.

4. ლექციის ფორმატი უნდა ითვალისწინებდეს:

- პირველი ლექცია - მოდულის გაცნობა (5-10 წუთი), მოდულით გათვალისწინებული საკითხის ახსნა (მინიმუმ 30 წუთი), დამოუკიდებელი დავალება/ აღწერა (5-10 წუთი);
- მეორე და შემდეგი ლექციები - წინა სალექციო მასალის გამეორება (5-10 წუთი), მოდულით გათვალისწინებული საკითხის ახსნა (მინიმუმ 30 წუთი), დამოუკიდებელი დავალება/ აღწერა (5-10 წუთი);

5. ლექციის ატვირთვას უზრუნველყოფს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, ხოლო გადამზადებული პროფესიული განათლების მასწავლებელი თავად ახდენს ონლაინ ლექციის ჩართვა-ჩაწერას.

6. პროფესიულ სტუდენტთა ონლაინ აქტივობას ქულების დაწერით აფასებს მოდულის განმახორციელებელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი. შეფასების ზოგადი სისტემა უნდა შეთანხმდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან .

7. შედეგების ჩატარება ხდება სასწავლო ვადებით დადგენილ პერიოდში,იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ფორს-მაჟორული ვითარება,პროფესიულ სტუდენტს აქვს შეზღუდული შესაძლებლობები ან არსებობს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სხვა საფუძველი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს ინდივიდუალური წესით ჩააბაროს შედეგი,

შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად ინდივიდუალური დავალებების მიცემით, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სპეციალური წესით.

8. სასწავლო და შეფასების პროცესში გამოსაყენებელ მასალას პროფესიული განათლების მასწავლებელი ტვირთავს Moodle -ის, აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ან კონკრეტული დროისათვის აპრობირებული სხვა ელექტრონული პლატფორმის საშუალებით.

9. სასწავლო პროცესში პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა პროფესიული სტუდენტის ტექნიკური შესაძლებლობები. არ შეიძლება ისეთი პრაქტიკული მასალის მომზადება, რომელიც იძლევა მხოლოდ პერსონალური კომპიუტერით ან ლეპტოპით მუშაობის შესაძლებლობას.

10. ელექტრონული სწავლების პროცესში შექმნილი ნებისმიერი ვიდეო ლექციის ვიდეო მასალა და ელექტრონული სასწავლო მასალა ეკუთვნის აკადემიას და პროფესიული განათლების მასწავლებელს.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტი ელექტრონული სწავლებისას



1. ელექტრონული სწავლების პროცესში პროფესიულ სტუდენტთა ავტორიზაცია ხდება კორპორაციული ელექტრონული ფოსტის ან ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის მეშვეობით, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ ერთი პროფესიული სტუდენტის მიერ.

2. ლექციის დამატებით მოსმენა პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ნებისმიერ დროს სისტემაში არსებული ვიდეო ჩანაწერის მეშვეობით. ინტერაქციული ლექციის დროს პროფესიულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს პირდაპირ რეჟიმში ჩაერთოს ლექციას და დასვას კითხვები.
3. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია პირდაპირ რეჟიმში ჩართვა განახორციელოს წყნარი სივრციდან და დაიცვას ინტერნეტ ეტიკეტის ნორმები, ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად.
4. პროფესიული სტუდენტი პრაქტიკულ მეცადინეობას ესწრება/გამოკითხვაში მონაწილეობს პირდაპირი ჩართვით, დადგენილი ელექტრონული ფორმატით ან ასრულებს მისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრულ დავალებას.
5. პროფესიული სტუდენტი ონლაინ სივრცეში შემოსვლით, და ჩართულობით ადასტურებს ლექციაზე მონაწილეობას. ლექციაზე ვიდეო ჩართულობა აუცილებელი მოთხოვნაა.

მუხლი 5. ხარისხის უზრუნველყოფა ელექტრონული სწავლებისას



1. აკადემიაში ელექტრონული სწავლების ინსტიტუციური პოლიტიკა შეიცავს ხარისხის უზრუნველყოფის შემადგენელ ელემენტებს, რომლებიც მოიცავს:
 - ა) ინსტიტუციურ მხარდაჭერას;
 - ბ) ელექტრონული სასწავლო კურსების შემუშავებას;

გ) ელექტრონული სასწავლო კურსების სტრუქტურას;

დ) ელექტრონული სწავლების პერიოდში სწავლებისა და სწავლის პროცესს;

ე) ელექტრონული სწავლების პერიოდში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებული, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ დაგეგმილი ფორმებითა და კრიტერიუმებით პროფესიულ სტუდენტთა გამჭვირვალე შეფასებას; ასევე შედეგების ჩატარების პროცესს;

ვ) მოწვეული და პროგრამების განხორციელებაში ჩართული დამხმარე პერსონალის მხარდაჭერას და ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით მათი სავალდებულო ტრენინგით უზრუნველყოფას;

ზ) პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას და ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით საჭირო ინსტრუქციებითა და წესებით მათ უზრუნველყოფას;

თ) ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურების შეუფერხებლად და გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობას;

ი) ელექტრონული უსაფრთხოების ზომებს.

2. აკადემიაში ელექტრონული სწავლების პროცესის შეფასებას ახდენს:

ა) სტუდენტი, ამ დებულების დანართი #1-ის შესაბამისად;

ბ) პროფესიული განათლების მასწავლებელი, ამ დებულების დანართი #2-ის შესაბამისად;

გ) პროგრამის ხელმძღვანელი, ამ დებულების დანართი #3-ის შესაბამისად;

დ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ამ დებულების დანართი #4-ის შესაბამისად.

3. ელექტრონული სწავლების გარე ხარისხის შეფასება ხორციელდება ექსპერტების კონსულტაციითა და ჩართულობით.

მუხლი 6. ელექტრონული სწავლების მონიტორინგი



1. ელექტრონული სწავლების პროცესის მონიტორინგს ახორციელებს მონიტორინგის სამსახური სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რაც მოიცავს სასწავლო ცხრილის მიხედვით აუდიო-ვიდეო ლექციების, სასწავლო მასალებისა და ლექციების მასალების განთავსების კონტროლს;
2. ელექტრონული სწავლების პროცესში გამოყენებული მასალების შინაარსის მონიტორინგს ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი ინფორმაციული ტექნოლოგიების და ინოვაციების სამსახურთან კოორდინაციით.
3. ელექტრონული სწავლების პროცესში აკადემიური პერსონალის დახმარებას, გადამზადებას, მასალების ატვირთვის კონტროლს ახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური

მუხლი 7. ინტერნეტ ეტიკეტი და პერსონალური ინფორმაციის დაცვა



1. ელექტრონული სწავლების პროცესში ინტერნეტ ეტიკეტი მოიცავს:

ა) პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის ურთიერთპატივისცემა;

ბ) ყურადღება და დროის ლიმიტის დაცვა;

გ) იუმორისა და სარკაზმისაგან თავის შეკავება;

დ) პერსონალური ინფორმაციის არ გაზიარება;

ე) ჯანდაცვის მიმართულების სტუდენტთა მხრიდან პაციენტის პერსონალური დიაგნოზისა თუ სხვა სახის ინფორმაციის ონლაინ გადაგზავნა-გაზიარების აკრძალვა;

ვ) დისტანციური შეფასების პროცესში აკადემიური თაღლითობის აკრძალვა, რაც გულისხმობს სხვა პირის მიერ დავალების შესრულებას, გადაწერას, სხვა პირის დახმარებას და ა.შ.

ზ) სხვა ქმედებები, რომელიც არ შეესაბამება საგანმანათლებლო სივრცეში ქცევის ზოგად წესებს და ხელს უშლის სწავლა-სწავლების ნორმალურ განხორციელებას.

2. ელექტრონული სწავლების პროცესში დაცული უნდა იყოს დისკუსიის პანელის ეტიკეტი, რაც გულისხმობს მხოლოდ საკითხთან მიმართებაში დასმული კითხვებს, საკითხების დაზუსტება უნდა მოხდეს პროფესიულ მასწავლებელთან და არა ჯგუფის წევრებთან, სხვების აზრის პატივისცემას, არგუმენტირებული პოზიციისა და არა მხოლოდ „ვეთანხმები არ ვეთანხმები“ პოზიციის დაფიქსირებას. დისკუსიაში აქტიური ჩართულობა არის მონაწილეობის მთავარი მოტივაცია.

3. ელექტრონული სწავლების პროცესში დაცული უნდა იყოს ელექტრონული გზავნილების ეტიკეტი, რაც გულისხმობს:

ა) ელექტრონული გზავნილის (ელექტრონული ფოსტა, სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში მიმოწერა, სწავლების პროცესში გამოყენებული სხვა სხვა პლატფორმაში მიმოწერა) საგანი უნდა იყოს მოკლე და მიზნობრივი;

ბ) გზავნილში ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა განთავსდეს დასაწყისში;

გ) პირადი რეგალიების/ვინაობისა და დასაბრუნებელი გზავნილის მისამართის მითითება;

დ) გაგზავნამდე ადრესატების გადამოწმება;

ე) არამდგრად ემოციურ მდომარეობაში ელექტრონული გზავნილის გაგზავნისაგან თავის შეკავება;

ვ) გადამოწმება, რომ თანდართული დოკუმენტის ფორმატის გახსნა შესაძლებელი იქნება ადრესატის მიერ.

4. ელექტრონული სწავლების პროცესში დაცული უნდა იყოს პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპი. აკადემიის პერსონალი ვალდებულია წინასწარ მოახდინოს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება, რომ ხორციელდება ლექციის ჩაწერა. სალექციო ჩანაწერი შესაძლებელია გამოყენებული იქნას მხოლოდ შიდასაკადემიო მოხმარებისათვის (მონიტორინგი და ხარისხის კონტროლი).

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. ელექტრონული სწავლების წესი გამოიყენება დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ პერიოდში ან მოდულით განსაზღვრულ ფარგლებში.

2. აღნიშნულ წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია დირექტორის ბრძანებით.



პროფესიული სტუდენტის მიერ ონლაინ კურსის შეფასების ფორმა

1. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით შეაფასოთ რამდენად ფარავს ონლაინ ლექცია მოდულით, კონკრეტულ კვირას გათვალისწინებულ თემას.

5 4 3 2 1

(შენიშვნა)

2. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით შეაფასოთ ონლაინ ლექციის თემატიკა რამდენად გასაგებად იყო მოწოდებული.

5 4 3 2 1

(შენიშვნა)

3. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით შეაფასოთ რამდენად დაგაინტერესათ ლექციაში დასმულმა საკითხებმა.

5 4 3 2 1

(შენიშვნა)

4. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით შეაფასოთ ლექციის აუდიო - ვიზუალური მხარე.

5 4 3 2 1

(შენიშვნა)

5. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით შეაფასოთ რამდენად გასაგებად იყო მოწოდებული ლექცია და დავალება.

5 4 3 2 1

(შენიშვნა)

6. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით შეაფასოთ კურსით გათვალისწინებული სასწავლო მასალებისა და სავალდებულო ლიტერატურის მისაწვდომობა თქვენთვის.

5 4 3 2 1

(შენიშვნა)

7. გთხოვთ, 5 ქულიანი სისტემით შეაფასოთ თქვენი განწყობა, ლექცია მოგესმინათ განმეორებით.

5 4 3 2 1

(შენიშვნა)

8. შეაფასეთ ხუთქულიან შკალაზე რამდენად კმაყოფილი ხართ პროფესიული განათლების მასწავლებელთან კომუნიკაციით.

5 4 3 2 1

(შენიშვნა)

9. ელექტრონული კომუნიკაციის რა საშუალებით სარგებლობთ დისტანციური სწავლების დროს.

10. რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთვის შეუზღუდავი ინტერნეტი.

11. რისი შეცვლა ან გაუმჯობესება გსურთ დისტანციურ სწავლებაში.

გაითვალისწინეთ, რომ ხუთი უმაღლესი შეფასებაა, 1 - უმცირესი შეფასება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გისურვებთ წარმატებებს!

ონლაინ კურსის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების/თვითშეფასების ფორმა

- 1. გთხოვთ, მიუთითოთ ლექციაზე შემოსულ სტუდენტთა ოდენობა
- 2. გთხოვთ შეაფასეთ სტუდენტთა ჯგუფის ლექციისათვის მზაობა

5 4 3 2 1

(შენიშვნა)

-
- 3. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით1 შეაფასოთ პროფესიულ სტუდენტთა მზაობა მოდულით გათვალისწინებული ყოველკვირეული აქტივობისთვის?

5 4 3 2 1

(შენიშვნა)

-
- 4. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით შეაფასოთ პროფესიულ სტუდენტთა აქტიურობა ლექცია- პრაქტიკულებზე

5 4 3 2 1

(შენიშვნა)

5. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით¹ შეაფასოთ სწავლა-სწავლებისთვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა (სასწავლო მასალის მიწოდება და ა.შ)

5 4 3 2 1

(შენიშვნა)

6. რა პრობლემებს შეხვდით ელექტრონული სწავლების პროცესში?

5. ჩაწერილი ლექციების მოსმენის შემდეგ, რომელ ნაწილს თვლით პრობლემურად და ისურვებდით გაუმჯობესებას, ხელახლა ჩაწერას?

- ✓ პრეზენტაციის ნაწილს
- ✓ თხრობის ნაწილს
- ✓ დავალებების მიცემის ნაწილს
- ✓ პრაქტიკულის ნაწილს
- ✓ არცერთს

6. კიდევ რისი შეცვლა ან გამუჯობესება გსურთ დისტანციურ სწავლებაში?

გაითვალისწინეთ, რომ ხუთი უმაღლესი შეფასებაა, 1 - უმცირესი შეფასება

პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ონლაინ კურსის შეფასების ფორმა

- 1. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ ლექციის აუდიოვიზუალური მხარე (მაქსიმალურზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში განმარტეთ ლექციის ხარვეზი შენიშვნის გრაფაში)

5 4 3 2 1

შენიშვნა

- 2. არის თუ არა დაცული ლექციის ჩაწერის და სასწავლო პროცესის სისტემა „გონში“ განთავსების ვადები?

დიახ

არა

შენიშვნა

- 3. გააცნო თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელმა პრპფესიულ სტუდენტებს მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნები და შეფასების სისტემა პირველ ლექციაზე?

დიახ

არა

შენიშვნა

- 4. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ, ონლაინ ლექციის მიმდინარეობისას პროფესიული განათლების მასწავლებლის პრეზენტაციის უნარი და ინფორმაციის მიწოდების ტექნიკა

5 4 3 2 1

შენიშვნა

5. ამოწმებს თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელი, რამდენად გასაგებად გადასცა მასალა პროფესიულ სტუდენტებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს შესწორებები სწავლების პროცესში?

დიახ

არა

შენიშვნა

6. ახორციელებს თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელი სწავლებისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფს თუ არა პროფესიულ სტუდენტებს სავალდებულო ლიტერატურითა და სასწავლო მასალებით?

დიახ

არა

შენიშვნა

7. აჯამებს თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელი ლექციას და იძლევა გასაგებ, დაწვრილებით მითითებებს?

დიახ

არა

შენიშვნა

8. ახორციელებს თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელი ეფექტურად პრაქტიკულების ჩატარების პროცესს, ერთი აქტივობიდან მეორეზე ლოგიკურ გადასვლას?

დიახ

არა

შენიშვნა

9. ასწრებს თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელი სალექციოდა პრაქტიკულ პროცესში ყველა სტუდენტის ჩართვას და გამოკითხვას?

დიახ

არა

შენიშვნა

10. იყენებს თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელი ლექციებზე ონლაინ სწავლებისთვის ადექვატურ გამოკითხვის ფორმებს?

დიახ

არა

შენიშვნა

11. რამდენად ობიექტურად აფასებს პროფესიული განათლების მასწავლებელი თითოეულ პროფესიულ სტუდენტს ლექციაზე,პრაქტიკულზე?

დიახ

არა

შენიშვნა

12. რამდენად ასწრებს პროფესიული განათლების მასწავლებელი თითოეული პროფესიული სტუდენტის ხარვეზებისა და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას ლექციაზე/პრაქტიკულზე?

დიახ

არა

შენიშვნა

3. აძლევს თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტებს რეკომენდაციებს სუსტი მხარეების გამოსასწორებლად?

დიახ

არა

შენიშვნა

გთხოვთ გაგვიზიაროთ რისი შეცვლა ან გაუმჯობესება გსურთ ელექტრონული სწავლების პროცესში?

დანართი #4

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ონლაინ კურსის შეფასების ფორმა

1. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ ლექციის აუდიოვიზუალური მხარე (მაქსიმალურზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში განმარტეთ ლექციის ხარვეზი შენიშვნის გრაფაში)

5 4 3 2 1

შენიშვნა

2. არის თუ არა დაცული ლექციის ჩაწერის და სასწავლო პროცესის სისტემა „გონში“ განთავსების ვადები?

დიახ

არა

შენიშვნა

3. გააცნო თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელმა პროფესიულ სტუდენტებს მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნები და შეფასების სისტემა პირველ ლექციაზე

დიახ

არა

შენიშვნა

4. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ, ონლაინ ლექციის მიმდინარეობისას პროფესიული განათლების მასწავლებელი პრეზენტაციის უნარი და ინფორმაციის მიწოდების ტექნიკა

5 4 3 2 1

შენიშვნა

5. ამოწმებს თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელი, რამდენად გასაგებად გადასცა მასალა პროფესიულ სტუდენტებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს შესწორებები სწავლების პროცესში

დიახ

არა

შენიშვნა

6. ახორციელებს თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელი სწავლებისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფს თუ არა პროფესიულ სტუდენტებს სავალდებულო ლიტერატურითა და სასწავლო მასალებით?

დიახ

არა

შენიშვნა

7. აჯამებს თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელი ლექციას და იძლევა გასაგებ, დაწვრილებით მითითებებს?

დიახ

არა

შენიშვნა

8. ახორციელებს თუ არა ეფექტურად პრაქტიკული ჩატარების პროცესს, ერთი აქტივობიდან მეორეზე ლოგიკურ გადასვლას?

დიახ

არა

შენიშვნა

9. ასწრებს თუ არა პროფესორი სასემინარო პროცესში ყველა სტუდენტის ჩართვას და გამოკითხვას?

დიახ

არა

შენიშვნა

10. იყენებს თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელი პრაქტიკულზე ონლაინ სწავლებისთვის ადექვატურ გამოკითხვის ფორმებს?

დიახ

არა

შენიშვნა

11. რამდენად ობიექტურად აფასებს პროფესიული განათლების მასწავლებელი თითოეულ სტუდენტს პრაქტიკულზე?

დიახ

არა

შენიშვნა

12. რამდენად ასწრებს პროფესიული განათლების მასწავლებელი თითოეული პროფესიული სტუდენტის ხარვეზებისა და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას პრაქტიკულზე?

დიახ

არა

შენიშვნა

13. აძლევს თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტებს რეკომენდაციებს სუსტი მხარეების გამოსასწორებლად?

დიახ

არა

შენიშვნა

გთხოვთ გაგვიზიაროთ რისი შეცვლა ან გაუმჯობესება გსურთ ელექტრონული სწავლების პროცესში?

დანართი N5

დისტანციური სწავლების არსი და განხორციელების მეთოდი

დისტანციური სწავლება გულისხმობს ონლაინ რეჟიმში - სწავლებას ე.წ ონლაინ აუდიტორიაში პროფესიული სტუდენტებისთვის ან პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფებისთვის

განხორციელების მეთოდი (ზუმი, თიმსი)

ინსტრუქცია აპლიკაციის შესახებ პროფესიული სტუდენტებს მიეწოდებათ ელექტრონულ ფოსტაზე:

ინსტრუქცია პერსონალურ კომპიუტერზე:

- ✓ იმისთვის რომ შეძლოთ ონლაინ ლექციაზე შესვლა თქვენ დაგჭირდებათ პროგრამა ZOOM.
- ✓ პროგრამის დაინსტალირების მიზნით უნდა შებრძანდეთ www.zoom.us

- ✓ ჩაწერეთ პროგრამა და დააინსტალირეთ.
- ✓ როდესაც პროგრამა მორჩება ინსტალაციას გაიარეთ რეგისტრაცია თქვენი ელ-ფოსტის საშუალებით.
- ✓ ავტორიზაციის გავლის შემდეგ დააკლიკეთ ჯოინს, ამოვარდნილ ფანჯარაში დაწერეთ პროფესიული განათლების მასწავლებლის საიდენტიფიკაციო ნომერი და დაესწარით ონლაინ ლექციას (საიდენტიფიკაციო ნომრები მოგეწოდებათ)

ინსტრუქცია მობილურ ტელეფონზე ინსტალაციისთვის

- ✓ ვიწერთ პროგრამას app store ან google play-დან
- ✓ გადიხართ რეგისტრაციას
- ✓ შედიხართ პროგრამაში და აკლიკებთ join-ს
- ✓ ამოვარდნილ ფანჯარაში წერთ პროფესიული განათლების მასწავლებლის საიდენტიფიკაციო ნომერს და ესწრებით ონლაინ ლექციას (საიდენტიფიკაციო ნომრები მოეწოდებათ)

შენიშვნა

სასწავლო პროცესში გამოიყენება ფეისბუქის დახურული ჯგუფი სასწავლებლის სახელწოდებით-მოდული-,

სადაც ყველა პროფესიული სტუდენტია გაწევრიანებული:

-ონლაინ აუდიტორიისთვის გამოვიყენებთ <https://zoom.us/>;

- პროფესიულ სტუდენტებთან მიმოწერა და დავალებების მიცემა და შეფასება მოხდება ონლაინ რეჟიმში ფეისბუქის დახურულ ჯგუფში;

- წერილობითი ინტერაქციითა და პირადი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

Zoom-us. ის ვიდეო კონსულტაციის ინსტრუქცია

განკუთვნილია BMA-ს პერსონალისათვის.

ზოგადი ნაწილი:

- ვიდეო კონსულტაცია არ უნდა აღემატებოდეს 30 წთ-ს;
- ვიდეო კონსულტაცია არ უნდა იყოს 20 წთ-ზე ნაკლები;
- ვიდეო კონსულტაცია გამოიყენება მხოლოდ სალექციო მასალის ახსნის მიზნით;
- ვიდეო კონსულტაციით დაუშვებელია სტუდენტის შეფასება;
- ვიდეო კონსულტაცია რეკომენდირებულია 10 საათიდან - 18 საათამდე;
- ვიდეო კონსულტაცია პროფესიული სტუდენტებისათვის რეკომენდირებულია გაიმართოს ცხრილის შესაბამისად (ცხრილით გათვალისწინებული)
- ვიდეო კონსულტაცია უნდა დაიგეგმოს ჩატარებიდან არანაკლებ 24 საათით ადრე;
- ვიდეო კონსულტაციის შესახებ პროფესიულ სტუდენტს sms შეტყობინება ეგზავნება ავტომატურად წინ დღით 18:00 საათამდე;
- ვიდეო კონსულტაციისთვის ვიყენებთ zoom-ის უფასო ვერსიას.

ყურადღება:

ზოგიერთი მოდულების პრაქტიკული ნაწილის განხორციელება შესაძლებელია საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე, ლაბორატორიაში, ავთიაქის მოდელის ტიპის სიმულაციურ აუდიტორიაში, ჯანმო-ს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მკაცრი რეკომენდაციების გათვალისწინებით მცირე ჯგუფებში.

ვიდეო კონსულტაციის დამატების შემდეგ პროფესიულ სტუდენტთან ავტომატურად აისახება შესაბამისი ბმული, თარიღი, დრო, სასწავლო კურსი და პროფესიული განათლების მასწავლებელი.

მოდულის განხორციელების ონლაინ კურსის ფორმა

მიზანი: პროფესიული მასწავლებლების უმუშალო ჩართულობით მოდულის იმ კომპონენტების იდენტიფიცირება, რომელთა დისტანციური სწავლებაც შესაძლებელია.

განმარტებისთვის, ექსელის დოკუმენტში შესასვსებია მოდულის შემდეგი ასპექტები:

- **სწავლის შედეგები** - ექსელის დოკუმენტში უკვე ჩაწერილია მოდულის ძირითადი სწავლის შედეგები. შესაძლებელია არსებული სწავლის შედეგების გარდა, მოდულს დაემატოს საკითხები, რომელთა სწავლებაც მასწავლებლების აზრით მნიშვნელოვანი.
- **თემატიკა** - აღნიშნულ სვეტში გთხოვთ, მოდულიდ მიხედვით ჩამოწეროთ მხოლოდ ის თემატიკები, რომელთა დისტანციურად სწავლებაც თქვენი აზრით, შესაძლებელია. საჭიროების შემთხვევაში, დისტანციური სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია თემატიკის გაყოფა ან გაერთიანება;
- **სწავლების მეთოდები** - აღნიშნულ კომპონენტს გთხოვთ, მიუდგეთ მაქსიმალურად შემოქმედებითად და ჩაწეროთ არა ერთი, არამედ რამდენიმე სწავლების მეთოდი, რომლებიც თქვენი აზრით, რელევანტური იქნება თითოეული თემატიკის დისტანციურად სწავლებისთვის. გახსოვდეთ, რომ მოდულში შემოთავაზებული კონკრეტული სწავლების მეთოდი, შესაძლებელია არ იყოს რელევანტური დისტანციური სწავლებისთვის;
- **შეფასების მიმართულებები/მეთოდები** - შეფასების მიმართულებების/მეთოდების იდენტიფიცირებისას, მაქსიმალურად ეცადეთ დაემთხვეთ მოდულში წარმოდგენილ მიმართულებებს.

3							
---	--	--	--	--	--	--	--